

## განმათავისუფლებელი საერთო ფონდი

(1905 წელის, გაზეთი „ცნობის ფურცელი“)

სრული იმედი მაქვს, ყოველი მკითხველი სიამოვნებით დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ იმ ფულს, რომელიც ეხლა გროვდება გურულების სახელობაზე, არ შეშვენიის შეწირულების სახელი. ეს წმინდა ვალის გადახდაა და არა შეწირულება, დახმარება. დიახ, ჩვენ ყველანი ყელამდი ვალში ვართ გურულების წინაშე. მათ პირველებმა გამოიღვიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიმუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იშვიათის გამბედაობით, საარაკო ვაჟკაცობით.

ამავე დროს თავის რადიკალურ მისწრაფებათა განსახორციელებლად მათ ამოირჩიეს მეტად სიმპატიური, სრულად კულტურული ღონისძიება: მტკიცე ერთობა თავის შორის და გაფიცვა, ბოიკოტი მოწინააღმდეგეთა შესახებ. კლასთა ბრძოლაში მათ არც ერთი ბარბაროსული ღონისძიება არ უხმარნიათ, არც ერთი მემამულე არ მოუკლავთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მემამულე იყო, არც ერთი შენობა არ გადაუწვიათ. მართალია, იგინი სიკვდილით სჯდინენ, მაგრამ ვის? სულმდაბალ ჯაშუშებს, რომელნიც მათ აბეზღებდნენ, ცილსა სწამდნენ და ათობით და ოცობით აგზავნიდნენ მათ საპყრობილებში.

თუ ეხლა ყველას გაგვითენდა დილა თავისუფლებისა და მოველით თავისუფლების შუადღესაც, თუ ქართველის ერის მეტ-ნაკლებლობით გატეხილი სახელი აღდგა და პატივით იხსენება კავკასიასა, რუსეთსა და მთელს განათლებულს კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოებისათვის არც თავისი რაინდული სისხლი, არც თავისი ღვარღიანი სიცოცხლე.

ამაზედ უდიდესი ვალი წარმოდუგენელია, და ამ ვალში ნაწილი უდევს ყოველ ქართველსა, რადგან ბრძოლის ნაყოფი ყველას საკუთრებად ხდება.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართლის გლეხობასაც კიდევ უფრო შავი დღე ადგია, ვიდრე გურულებს. ეს გლეხობაც მტკიცედ და ერთგულად შეუდგა განმათავისუფლებელს მოძრაობას; მაგრამ სასტიკად დაისაჯა. მრავალს სოფელში ჩაუყენეს ყაზახების ეკზეკუცია, რომელმაც სოფელს გაუჩანაგა შინაური ფრინველები, საქონელი, პური, ღვინო, ხილი და ვალიც ბევრი ააღებინა... ახლო მომავალში ქართლს შიმშილი მოელის აუცილებლად.

სამწუხაროდ, ქართლელი გლეხობა ბრძოლის დროს ბარბაროსულს ღონისძიებას არ მოერიდა. მან მოჰკლა არაერთი მემამულე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყო მემამულე, არა ერთი შენობა გადასწვა, არა ერთს პური ბჯას წაიკიდა ცეცხლი, არა ერთი სკოლის შენობა მიწასთან გაასწორა. ყველა ამას მშიდობიანი ქართლის გლეხისაგან არავინ არ მოელოდა. მაგრამ მის შორის გაჩნდნენ ხალხის მტრები, ხულიგნები, პოლიციის აგენტები, რომელთაც ისარგებლეს გლეხების უვიცობით, მოატყუეს იგინი, კლასთა ბრძოლა გაამწვავეს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ორივე მეზრძოლი კლასი დაეუძლურებიათ და მონობის უღელს ქვეშ დაენარჩუნებინათ. სავალალოდ, ამ კლასთა ბრძოლის გამწვავებას ხელი შეუწყო თვით თავადაზნაურობამ, რომელმაც დაარსა

ეგრედ წოდებული შავი რაზმი, რომელმაც გამოიწვია საგლეხო მილიციის შედგენა.. ასე იყო თუ ისე, დღეს ქართლის გლეხოზა მეტად უნუგემო მდგომარეობაშია და შემწეობას ითხოვს, საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ბევრია იმისთანა სახლობა, რომელსაც განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრებმა მოაკლეს შემნახველი მამა, ძმა, ქმარი და უკიდურესს გაჭირვებაში ჩააგდეს. ესენიც ხელის გამართვას ითხოვენ.

ისიც უსათუოდ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რუსეთის და კავკასიის მდგომარეობა ისეთი საშიშია, ისეთი მოულოდნელია სასტიკი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომ ჩვენ უსათუოდ მოვაკლდებით მრავალს ჩვენს მოძმესა და არაერთი ოჯახი, დღეს უზრუნველყოფილი, ახლო მომავალში ადვილად შეიძლება სრულიად უსახსროდ დარჩეს. ამდენს გაჭირვებას პირქარად არ გაუხდება ამდენი შემტხვევითი შეწირულებანი, თუნდაც, დროებით გულუხვობაც გამოიჩინოს ჩვენმა საზოგადოებამ. აქ საჭიროა სამუდამო ხარჯის კისვრა, ყოველთვიური გადასახადი. საჭიროა დაარსდეს განმათავისუფლებელი საყოველთაო ფონდი, რომელმაც უნდა დახმარება გაუწიოს ჯერ გურულებს და მერე სხვა გაჭირვებულ მებრძოლ ქართველებსა... სასარგებლოდ ამ ფონდისა ვუდგენ რედაქციას ათ თუმანსა (100 მან.) და, გარდა ამისა, ვალად ვიდებ მომავალი იანვრიდან ყოველ თვე ვიხადო თვეში თითო თუმანი, რაც შეადგენს მეათედს ჩემის თვიურის სახსრისას ამ წლის განმავლობაში,

„წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვთხოვ ამავე ფონდს შეუერთოს მთელი შემოსავალი ჩემი წიგნისა „რანი ვიყავით გუშინ“.

P.S. განმათავისუფლებელი ფონდის ორგანიზაციას ესაჭიროება გამოკვლევა და განსაზღვრა. ეს საგანი განიხილება განსაკუთრებულს კრებაზე, რომელიც მოხდება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ზეგ, ხუთშაბათს, 10 ნოემბრეს, საღამოს რვა საათზე... ვთხოვ ყველა გაზეთის რედაქციას ორ-ორი წარმომადგენელი გაგზავნოს ამ კრებაზე საგნის განხილვაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

**ნინო გულიაშვილი** - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სავანის საჯარო სკოლის მოსწავლემ.

21 აპრილი, 2020 წელი  
#დარჩისახლში